ხელშეკრულება საქონლის შესყიდვის შესახებ №

22 ივნისი 2016 წელი

ქ. თბილისი

მიმწოდებელი: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი", წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი"-ს აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მელაშვილის სახით.
მისამართი: სანაპიროს 2, თბილისი 0114, საქართველო.
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკი, ს/კ: 203824148, ბანკის კოდი: BNLNGE22, ანგარიშის № GE52 NB04 5010 1499 9041 01;

შემსყიდველი: ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი გოგოხიას სახით.
მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზ. № 45.
საბანკო რეკვიზიტები: ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ს/კ: **220416976**, მიმღების დასახელება: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: **№ 204931440.**

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად - ექსკლუზივი, **SMP:160001643** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს" (**CPV: 18500000 - სამკაულები, საათები და მონათესავე ნივთები; - 18512100 - მონეტები**) საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისადმი მიძღვნილი 10 ლარის ნომინალის სპილენძ–ნიკელის საკოლექციო მონეტა 25 (ოცდახუთი) ცალი (შემდგომში ნასყიდობის საგანი), ხოლო „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის საფასური.

მუხლი 2. ნასყიდობის საგნის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

2.1. საქონლის მიწოდებას ,,მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში;
2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ,,ნასყიდობის საგნის" გადაცემა მოხდება მისამართზე – ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი N72;
2.3. ,,ნასყიდობის საგნის" გადაცემა დასტურდება გადაცემის დღეს მხარეთა შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტი თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
2.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის და ნასყიდობის საგნის მიღების უფლება ენიჭება: კობა ჯიქია - ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე, პ/ნ: 19001016314; პირადობის მოწმობის ნომერი: № დ 1224183; პირადობის მოწმობის მოქმედების ვადა: 04.12.2018

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების წესი და პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, ხელშეკრულების საგნის ღირებულება განისაზღვრება 25 (ოცდახუთი) ცალი საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისადმი მიძღვნილი 10 ლარის ნომინალის სპილენძ–ნიკელის საკოლექციო მონეტაზე 986.75 (ცხრაას ოთხმოცდაექვსი ლარი და 75 თეთრი) ლარით. შესყიდვის ობიექტის ერთი ერთეულის ღირებულება შესადგენს 39.47 (ოცდაცხრამეტ ლარს და 47 თეთრს) ლარს.
3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 986.75 (ცხრაას ოთხმოცდაექვსი ლარი და 75 თეთრი) ლარს. (ბიუჯეტის კოდი: 04-02 - საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა)
3.3. ნასყიდობის ფასის გადახდა ხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

3.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამის დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **5 (ხუთი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

4.1.1. მიიღოს ნაყიდი ქონება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე;

4.1.2. მისთვის ნასყიდობის საგნის გადაცემისას შეამოწმოს საქონლის ხარისხი;

4.1.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.2.1. გადასცეს „შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნასყიდობის საგანი;

4.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0.2 პროცენტის ოდენობით;

5.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0.2 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 6. დავათა განხილვის წესი

6.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად, თუ შესრულების შეფერხება ან ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოებების შედეგი;

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომის, სტიქიური უბედურების და სხვა მსგავსი მოვლენებით.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2016 წლის 1 აგვისტომდე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა;

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილის ბათილობას.

მუხლი 10. ზოგადი დებულებები

10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს;

10.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ვერა
220416976

10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მიმწოდებლის მხრიდან:

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი მელაშვილი

მ.ა.

შემსყიდველის მხრიდან:

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი

ირაკლი გოგოხია

მ.ა.